ეს სამუშაო
რვეული მაკუთვნის:
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

წერილ-კითხვა ანა ფრანკთან ერთად

წერა-კითხვა ანა ფრანკთან ერთად
დაწერე და მიეცი ხმა საკუთარ თავს!

მოსწავლის რვეული

ანა ფრანკის ცხოვრება

გადახედე ანა ფრანკის ცხოვრებას. იცოდე, შენი დავალება იქნება თავად შეარჩიო სწორი სათაურები. შესაძლო სათაურებს ამ გვერდის ბოლოში მოცემულ ჩამონათვალში იპოვი.

სათაური

1929

ანა ფრანკი 1929 წლის 12 ივნისს დაიბადა გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში. ფრანკები **ებრაელები** არიან.

1933

1933 წელს ადოლფ ჰიტლერი გერმანიის სათავეში მოდის. ის ებრაელებს უმუშევრობისა და გაჭირვების მთავარ მიზეზად მიიჩნევს. ჰიტლერი დიქტატორია. ოტო და ედიტი თავს უსაფრთხოდ აღარ გრძნობენ და გერმანიის დატოვებას გადაწყვეტენ. ისინი ამსტერდამში გადადიან საცხოვრებლად.

სათაური

1934/1938



ანა ნიდერლანდებში ცხოვრებას ადვილად ეჩვევა. ნიდერლანდურს სწრაფად ეუფლება და ბევრი მეგობარი ჰყავს. ზაფხულობით მშობლებთან ერთად ზღვაზეც ხშირად დადის.

შეიძლება უცხო გარემოს

როდის გიადვილდება უცხო გარემოსთან შეჩვევა?

პასუხი აქ დაწერე.

დაწერე ქვემოთ მოცემული სათაურები შესაბამის ადგილას.

ანა ფრანკის დაბადება

ამსტერდამში ცხოვრება

1938|1939

ჰიტლერს სხვა ქვეყნების დაპყრობის ხარჯზე სურს გერმანიის ტერიტორიების გაზრდა. 1939 წლის სექტემბერში პოლონეთს ერთი მხრიდან გერმანიის ჯარი ესხმის თავს, მეორე მხრიდან კი - რუსეთის ჯარი. ინგლისი და საფრანგეთი ჰიტლერს ომს უცხადებენ. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1940

1940 წლის მაისში ომი ნიდერლანდებამდე აღწევს. გერმანიის ჯარმა ნიდერლანდების ოკუპაცია მოახდინა. ანა და მისი ოჯახი უკვე აქაც აღარ არიან უსაფრთხოდ, მაგრამ გაქცევა თითქმის შეუძლებელია.

დისკრიმინაცია

შენი აზრით, რას ნიშნავს "დისკრიმინაცია"?

პასუხი აქ დაწერე.

სათაური

1941

ებრაელების **დისკრიმინაცია** ნიდერლანდებშიც დაიწყო. ანა და მარგო იძულებულები არიან ამსტერდამის ებრაულ ლიცეუმში, არაებრაელი თანატოლებისგან იზოლირებულად ისწავლონ.

სათაური

1942

მარგო იღებს სს-ის უწყებას. მას გერმანიაში, შრომით ბანაკში იძახებენ. მარგო თუ არ წავა, მთელ ოჯახს დაიჭერენ. ოტო და ედიტი მარგოს არ უშვებენ, ამიტომაც 6 ივლისს მთელი ოჯახი პრინსენხრახტზე მოწყობილ სამალავში გადადის.

დაწერე ქვემოთ მოცემული სათაურები შესაბამის ადგილას.

ცხოვრება ომიანობისას

სამალავი

სიყვარული ყოველ სახლში

უკანა სახლი

ანას უკანა სახლშიც თან მიაქვს დღიური, რომელიც დაბადების დღეზე აჩუქეს, როცა 13 წლის გახდა.

არის კიდევ ერთი ოჯახი, რომელიც უსაფრთხო ადგილს ეძებს. ესენი არიან ჰერმან და ავგუსტა ვან პელსები და მათი ვაჟი, პეტერი.

თავიდან ანას მიაჩნია, რომ პეტერი "ერთი მოსაწყენი და ზარმაცი აყლაყუდაა", მაგრამ მოგვიანებით, 1944 წლიდან მას უფრო დადებითად აღწერს თავის დღიურში. ანას "უხარია, როდესაც პეტერი უყურებს" და ცოტა უყვარდება კიდეც. ამ დროს ანა თხუთმეტის, ხოლო პეტერი თვრამეტი წლისაა.

"კიტი, მე უკვე იმ **შეყვარებულებს** დავემსგავსე, რომლებსაც თავიანთი გულის ვარდის გარდა, სხვა სალაპარაკო არ აქვთ".

3 მარტი, 1944 წელი

ვინ ვარ:
პეტერ ვან პელსი

მშობლები: ჰერმანი და ავგუსტა

ვინ ვარ:
წყნარი, მორცხვი, სიტყვაძვირი

ყოველ:
დურგლობა და ცხოველები

ცხოვრობ ადგილებში, რომელსაც:
სანდოს, თავაზიანს და გულადს

როგორ ლაპარაკობ ცხოველთან თავზე?

დაწერე აქ შენი რომელიმე ორი თვისება.

ახლა სთხოვე სხვას, დაასახელოს შენი ორი თვისება!

ვინ ვარ:
ანა ფრანკი

მშობლები: ოტო და ედიტი; და: მარგო

ვინ ვარ:
მგრძნობიარე, მხიარული, სევდიანი

ყოველ:
კითხვა და წერა თავს ზოგჯერ ეულად გრძნობს და ეშინია

ცხოვრობ ადგილებში, რომელსაც:
ხუმარას, მაგრამ თან სერიოზულს

ცხოვრება ოჯახ ჩაკეტილ მაგიდის გამო

ეს ფრიც პფეფერია, ფრანკებისა და ვან პელსების ახლობელი. ისიც იძულებულია დაიმალოს. ფრიცს ანას ოთახში შეასახლებენ, რაც ანას დიდად არ მოსწონს, რადგან ოთახი ძალიან პატარაა.

ანასაც და ფრიცსაც ძალიან უყვართ იმ მაგიდასთან მუშაობა, რომელიც მათ ოთახში დგას. ანა ფრიცს სთხოვს, რომ კვირაში ორი შუადღე დაუთმოს სამუშაოდ, ის კი მტკიცე უარს ეუბნება. ანა ბრზადება და ცდილობს მამის საშუალებით მოაგვაროს ეს საქმე. საქმე გვარდება, მაგრამ ვითარება მაინც დაძაბული რჩება.

“სიბრაზისგან დანა პირს არ მიხსნის, მაგრამ ჩემს თავს უფლებას არ ვაძლევ, რომ რამე შევიმჩნიო. მინდა ფეხები ვაბაკუნო, ვიყვირო ...”
30 იანვარი, 1943 წელი



ვინ ვინ:

ფრიც პფეფერი

ვინ:

გულჩათხრობილი და თავდაჯერებული (თავს არავის არ აჩაგვრინებს) ნუგეშს რელიგიაში ეძებს. სამალავში ყოველ საღამოს ლოცულობს. პროფესია: კბილის ექიმი ეშინია კატების

მიჰ ვინი ხასიათებს, როგორც:

სპორტულ, სასიამოვნო გარეგნობის, თავაზიან მამაკაცს

ხა ყი ხასიათებს, როგორც:

ეგოისტსა და ქედმაღალს

შენ რას იზამდი?

წარმოიდგინე, ვითომ ძალიან ხარ რაღაცაზე გაბრაზებული. როგორ გამოხატავდი ამას?

წერილი გამოფენაზე

დაათვალიერე გამოფენა და წაკითხე. შემდეგ, წაიკითხე ქვემოთ მოცემული ტექსტი და უპასუხე კითხვებს.

მეზობლები

თავშესაფრის ბინადრებს ოტოს ოთხი თანამშრომელი ეხმარება. ისინი უკანა სახლში საჭმელს, ზოგჯერ კი წიგნებსა და ჟურნალებსაც ეზიდებიან.

თავშესაფრის ბინადრები

შეავსე

თავშესაფრის რვა ბინადარი ..... დღე ..... იმალება. ისინი ალბათ ძალიან ..... არიან. გარეთ გახედვა მათთვის .....



იცი თუ არა თავშესაფრის ყველა ბინადრის სახელი? დაწერე მათი სახელები ფოტოების ქვეშ. შეგიძლია გამოფენა დაიხმარო.

“შეხედე, როგორ ვართ გამოკეტილები, როგორ ჩამოვშორდით მთელ სამყაროს, როგორ შიშსა და საფიქრალში ვართ ჩვენი დღე და მოსწრება (. . .)”

17 აპრილი, 1944 წელი

შენ რას ფიქრობ?

ოტოს თანამშრომლები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ იმით, რომ დამალულებს ეხმარებიან. რას ფიქრობ ამაზე?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

დაწერე, შენი აზრით, რა სახის ემოციები სუფევდა უკანა სახლში.

“მინდა ის ვიყო, რაც ვარ, მეტი არაფერი”.

ანა, 11 აპრილი, 1944 წელი

დღიურში ანა ბევრს წერს საკუთარ თავზე. წერს თავის გარეგნობაზე, გატაცებებზე და გრძნობებზე. მას აქვს “მიზანი, პრინციპები, რწმენა და სიყვარული” და რაც მთავარია, უნდა “ის იყოს, რაც არის”.

ახალგაზრდა
ცნობისმოყვარე
მკითხველი
პატივმოყვარე
ებრაელი
ენთუზიასტი
და
გოგონა
მწერალი
შვილი
ლტოლვილი
შეყვარებული
ხუმარა
მეგობარი
ნიდერლანდური

იყო ის, რაც ხარ

ჩაწერე ქვემოთ მოცემულ გრაფებში ყველა ის სიტყვა, რომლებიც შენ შეგეფერება.

ჰიტლერი და ნაცისტები გერმანიაში არსებულ ყველა პრობლემაში ებრაელებს ადანაშაულებენ.

ანტისემიტიზმში

ანტისემიტიზმი ებრაელების სიძულვილს ნიშნავს. ნაცისტებს სძულთ ებრაელები. ეს დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა. დაწერე ანტისემიტიზმის გამომხატველი სხვა სიტყვა

“ადრე თუ გვიან ხომ ამ საშინელ ომსაც მოეღება ბოლო? ადრე თუ გვიან ხომ ისევ ადამიანებად შეგვრაცხავენ!”

ანა ფრანკი, 11 აპრილი, 1944 წელი

შენი აზრით, რას იძახიან სხვები შენზე?

1944 წლის 4 აგვისტოს პოლიციელები სამალავში შედიან და თავშესაფრის ყველა ბინადარს აპატიმრებენ. ისინი ვიღაცამ დაასმინა. დღემდე უცნობია ვინ იყო დამსმენი.

თავშესაფრის ბინადრებს ჯერ ვესტერბორკის ბანაკში ათავსებენ, რომელიც ნიდერლანდებში მდებარეობს.

ბერგენ-ბელზენში ანა 1945 წლის მარტში გარდაიცვალა ტიფით (ტიფი ინფექციური დაავადებაა). მისი და და დედაც გარდაიცვალნენ. ოტო ფრანკი ერთადერთია თავშესაფრის ბინადრებს შორის, ვინც ომს ცოცხალი გადაურჩა.

1945 წლის 5 მაისს გერმანიის ჯარმა იარაღი დაყარა. ნიდერლანდები გათავისუფლდა. რამდენიმე თვის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს.
როდესაც ოტო ამსტერდამში ბრუნდება, მიპი მას ანას დღიურს გადასცემს. ორი წლის შემდეგ ოტო დღიურს გამოსცემს.

შემდეგ ანა და მარგო გერმანიაში, ბერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაჰყავთ.

იქიდან ისინი მატარებლით პოლონეთში, აუშვიცბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკში გადაჰყავთ, სადაც ოტოს ცოლ-შვილისგან აცალკევებენ.

გიფიქრია ოდესმე ამ ორ კითხვაზე:

რისი გეშინია?

შეეცადე ორი სხვადასხვა მაგალითი მოიყვანო.

ვინ გინდა გამოხვიდე ან რა გინდა აკეთო მომავალში?

ჩვიდო ტვიდო

დაათვალიერე გამოფენა და წაკითხე. შემდეგ, გააკეთე ქვემოთ მოცემული დავალებები.

ყოველდღიურად ადამიანი იმაზე მეტს წერს, ვიდრე ჰგონია. ავიღოთ, მაგალითად, ესემეს-შეტყობინებები ან ელექტრონული წერილები. ტვაიკუ დაფუძნებულია უძველეს იაპონურ პოეტურ ფორმაზე, ჰაიკუზე. დაწერე სამსტრიქონიანი ესემეს-ლექსი 140 სიმბოლოს გამოყენებით და მიიღებ "ინტერნეტპოეზიას", რომელსაც ტვაიკუ ეწოდება.

მაგალითად:

ანას გამოფენა
განათებული სიტყვები
ჩარჩოში
განცვიფრებული ვარ

アンネの隠れ家に
展示された日記とその説明に
大きく感嘆する

ტვაიკუს პირად საკითხებზე წერენ, ამიტომაც შეიძლება საკმაოდ შთამბეჭდავი რამ გამოვიდეს. წარმოიდგინე, რომ გინდა მსოფლიოს მეორე ნაწილში ვიღაცას გააგებინო, სად ხარ და რას ხედავ.

დაფიქრდი: სად ვარ? ვის ვხედავ? რას ვხედავ? რას ვგრძნობ? ახლა დაწერე ტვაიკუ. შეგიძლია შენი ტვაიკუ მობილურით მეგობარს გაუგზავნო.

.....

.....

.....

გსმოგივიდეს?

გაუზიარე შენი ტვაიკუ მსოფლიოს! გამოაქვეყნე შენი ტვაიკუ ანა ფრანკის ფეისბუქის გვერდზე. ამ ჯგუფს 10 000-ზე მეტი მიმდევარი ჰყავს. მიუთითე შენი სახელი, ქვეყანა, სიტყვა "ტვაიკუ" და გამოაქვეყნე შემდეგ შენი ტვაიკუ.

facebook

ოჯახი ანა ფრანკზე

შეასრულე შემდეგი
შვიდი მითითება.

1 დაწერე ანას ორი ან სამი დამახასიათებელი თვისება.
2 დაწერე მისი ოჯახის რომელიმე წევრის სახელი (დედა, მამა, და).
3 დაწერე ორი ან სამი რამ, რისი კეთებაც ანას უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ იმალება.
4 დაწერე სამი გრძნობა (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური), რომელიც შეიძლება განეცადა მალვის პერიოდში.
5 დაწერე, რისი ეშინია მას.
6 დაწერე ორი ან სამი რამ, რისი იმედიც მას ჰქონდა ცხოვრებაში.
7 დაწერე, სად ცხოვროდა ის.

ანა

1 .....

2 .....

3 უყვარს .....

4 .....

5 .....

6 .....

.....

7 .....

ფრანკი

მაგალითი

მარგო

წყნარი, სერიოზული და ბეჯითი

მშობლები: ოტო და ედიტი

უყვარს კითხვა და სწავლა

ჩუმი, მიხვედრილი

ეშინია, რომ არ მიაგნონ

იმედი აქვს, რომ მშვიდობა

დამყარდება და მომვლელად

იმუშავებს

ამსტერდამი

ფრანკი

ახლა კი ლექსი შენს შესახებ!

შეასრულე ქვემოთ
მოცემული მითითებები
და დაწერე საკუთარი
ბიოგრაფიული ლექსი!

1 დაწერე შენი სახელი.
2 დაწერე შენი სამი ან ოთხი
დამახასიათებელი თვისება.
3 დაწერე შენი ოჯახის
რომელიმე წევრის ან მეგობრის
სახელი (დედა, მამა, და, ძმა)
4 დაწერე ორი ან სამი რამ,
რაც გიყვარს.
5 დაწერე ორი რამ, რისიც
გეშინია.
6 დაწერე ორი ან სამი
რამ, რისი იმედიც გაქვს
ცხოვრებაში ან ვინ გინდა,
რომ გამოხვიდე.
7 დაწერე, სად ცხოვრობ.
8 დაწერე შენი გვარი.

1 .....

2 .....

3 .....

4 მიყვარს .....

5 მეშინია .....

6 იმედი მაქვს .....

7 .....

8 .....

დაწერე ფურცელზე ტვიკუ ან
ჩვეულებრივი ლექსი და ჩამოჰკიდე
მაგნიტურ კედელზე, რომელსაც
გამოფენაზე ნახავ.

კოლოფონი

ტექსტები
ანა ფრანკის სახლი
ლის სხიპერსი
სანა ვერსტრატე

მთავარი რედაქტორი
ჟოზეფინა დე მანი
ინგერ სხააპი

დიზაინი
იოოსტ ლუკი
სკეპია, პიტერ მინეური

ფოტოგრაფია
იუულ ჰონდიუსი

კორექტორი
დავით ღოლიჯაშვილი

მთარგმნელი
ნინო ფხაკაძე

უფლებები
ანა ფრანკის საოჯახო ფოტოები © Anne Frank Stichting, ამსტერდამი/ანა ფრანკის ფონდი, ბაზელი
ანა ფრანკის ტექსტი ©ანა ფრანკის ფონდი, ბაზელი

© იუულ ჰონდიუსის ფოტოგრაფია